მართული დემოკრატია - პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალის“ დაფუძნება

მართულ დემოკრატიაში ფორმალური პოლიტიკური ძალები რეალურად მმართველი ძალის გაძლიერებასა და მათ დღის წესრიგს ემსახურებიან.

„ხალხის ძალის“ გაფართოება - დაფუძნებიდან დღემდე

2022 წლის 29 ივნისს „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრებმა სოზარ სუბარმა, დიმიტრი ხუნდაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა პარტია „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო თანამდებობები დატოვეს. პარლამენტარების მიერ იმავე დღეს გავრცელებულ განცხადებაში მითითებული იყო, რომ დისტანცირებული დეპუტატები რჩებოდნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად და მათი და „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და წევრების შეფასებები „სრულად“ ემთხვეოდა ერთმანეთს. პოზიციების სრულად თანხვედრის ფონზე, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა, რა გახდა პარტიის დატოვების მიზეზი. განცხადებაში უმრავლესობის დატოვების ერთადერთ მიზეზად მითითებული იყო საზოგადოებისთვის ქართული პოლიტიკის კულისებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ბევრად მეტი ინფორმაცია მიწოდების საჭიროება; და ვინაიდან, დეპუტატების განცხადებით, ისეთ თემებზე საჯაროდ საუბარი, როგორებიცაა, *ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რომელშიც ხელისუფლებას, როგორც „სათაგურში“ „თავი შეაყოფინეს“*, **მმართველ გუნდს უხერხულობას შეუქმნიდა,** საჭირო გახდა პარტიის დატოვება. გარდა ამისა, განცხადებაში საუბარი იყო კანდიდატის სტატუსის ფორმალურობაზე, რუსეთისთვის სანქციების დაწესების დაუშვებლობაზე, კონსპირაციულ თეორიაზე საქართველოს ომში ჩათრევის შესახებ, ე.წ. ბაკურიანის შეკრებაზე და სხვ.

„ქართული ოცნების“ დატოვების შემდეგ, 2022 წლის 2 აგვისტოს დიმიტრი ხუნდაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა და სოზარ სუბარმა მოძრაობა „ხალხის ძალა“ დააარსეს. დღემდე „ხალხის ძალა“ პოლიტიკურ პარტიად არ დარეგისტრირებულა და არც სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არსებობს. შესაბამისად, ის არც შემოწირულებებს იღებს. თუმცა როგორც ლიდერები აცხადებდნენ, შესაძლებელია „ხალხის ძალა“ სამომავლოდ პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნას.

2022 წლის 4 ოქტომბერს მოძრაობას საპარლამენტო უმრავლესობიდან ეკა სეფაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, დავით კაჭარავა, დაჩი ბერაია და ზაალ მიქელაძე შეუერთდნენ. ძირითადად, გაერთიანების გაფართოება მხოლოდ „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრების და მხარდამჭერების ხარჯზე ხდებოდა. 2022 წლის 24 ოქტომბერს „ხალხის ძალას“ 200-მდე ახალი წევრი შეემატა, ძირითადად სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრები და თანამდებობის პირები „ქართული ოცნებიდან“.

„ხალხის ძალის“ ლიდერები 2022 წლის 24 ოქტომბერს აცხადებდნენ, რომ მათი მთავარი მიზანი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით რეგიონებში საზოგადოებამდე სიმართლის მიტანა იქნებოდა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დაინტერესდა, დაიწყო თუ არა მოძრაობამ რეგიონული აქტივობები. მედიაში გავრცელებული ინფორმაციებისა და გაერთიანების ფეისბუქგვერდის შესწავლის შემდეგ ირკვევა, **რომ „ხალხის ძალის“ ლიდერებს რეგიონებში ვიზიტები და აქტივობები არ დაუწყიათ.**

ბოლო პერიოდში არც მათ რიგებში მატების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე „ხალხის ძალის“ აქტიურობა ძირითადად სახელისუფლებო მედია საშუალებების პროგრამებში მონაწილეობით შემოიფარგლება.

„ქართული ოცნებისა“და პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალის“ მსგავსი რიტორიკა

პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალისა“ და „ქართული ოცნების“ ლიდერებს არაერთი განცხადება გაუკეთებიათ იმასთან დაკავშირებით, რომ მათი პოზიციები და გამოხატვის ფორმები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, „ხალხის ძალის“ წევრები საპარლამენტო უმრავლესობაში რჩებიან. დაფარული არც ისაა, რომ „ხალხის ძალა“ სხვა საპარლამენტო ფრაქციებისა და პოლიტიკური ჯგუფებისგან განსხვავებით, მმართველი გუნდისგან ბენეფიტებსა და მხარდაჭერას იღებს. ამაზე ისიც მეტყველებს, **რომ პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“, მიუხედავად იმისა, რომ ახლი შექმნილია, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ყველა საპარლამენტო დელეგაციაშია წარმოდგენილი.**

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული კანონპროექტი „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ „ხალხის ძალის“ დეპუტატების ხელით დაარეგისტრირა. კანონპროექტის მიხედვით, ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიასაშუალებები „უცხოური გავლენების აგენტებად“ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ.

ბოლო პერიოდია მმართველი გუნდი გამოირჩევა ჰომოფობიური განცხადებებით. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებამ აჩვენა, რომ „ქართული ოცნებისა“ და პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის“ განცხადებები და მესიჯბოქსი იდენტურია.

მაგალითად,

მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრმა გურამ მაჭარაშვილმა ტელეკომპანია იმედის ეთერში განაცხადა, რომ საქართველოში ლგბტ პროპაგანდას მომავალი არ ექნება და საფრანგეთში ჩატარებული კვლევის შედეგები მოიყვანა.

„საფრანგეთში, თუ არ ვცდები, 22%-ზე ავიდა უკვე იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც თავს მიიჩნევს ლგბტ თემის წარმომადგენლად. შეიძლება ადამიანი არც არის ლგბტ პიროვნება, მაგრამ ის წარმოადგენს ამ სამყაროს, ასე ამბობენ უკვე. აი ეს არის ზუსტად ის ფსიქოლოგიური წნეხი, რაზეც ჩვენ ვამბობთ, რომ მიუღებელია საქართველოსთვის“

იდენტურ კვლევას ციტირებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. **მისი განცხადებით, საფრანგეთში ახალგაზრდების 22% თავს ლგბტ თემის წევრად თვლის.**

„30 ქვეყანაში ჩატარდა ეს კვლევა და რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საყურადღებო იყო საფრანგეთში ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების 22% თავს ლგბტ-ად აცხადებს, რაც ვფიქრობ არის საგანგაშო ტენდენცია.“

პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალა“ და ტელეკომპანია „POSTV“ კავშირები

ტელეკომპანია „POSTV“ „ხალხის ძალის“ აქტიური მხარდამჭერია. 2022 წლის 4 ოქტომბერს ტელეკომპანიამ გაავრცელა მიმართვა, რომლის მიხედვითაც „POSTV“ მოძრაობა „ხალხის

ძალის“ მედიაპლატფორმა და მხარდამჭერი ხდებოდა. 2022 წლის 3 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ამონაწერში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც, „ხალხის ძალის“ წევრი ვიქტორ ჯაფარიძე ტელევიზიის საკონტროლო პაკეტის **52%-იანი წილის მფლობელი** **გახდა.**

ტელეკომპანია „POSTV“ დაარსების დღიდან პროსახელისუფლებო ტელევიზიად მოიაზრება. ტელეკომპანიის აღმასრულებელი დირექტორი „ქართული ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი კონსულტანტი ლაშა ნაცვლიშვილი იყო. არხის ერთ-ერთი მეწილე შალვა რამიშვილი ყოველთვის ღიად აფიქსირებდა მხარდაჭერას მმართველი გუნდის მიმართ.

დასკვნა

თვალსაჩინოა, რომ „ხალხის ძალამ“ აქტუალობა მას შემდეგ დაკარგა, რაც მმართველი პარტიის ლიდერებმა წარმატებით დაიკავეს ნიშა, რაც ფორმალურად მოძრაობის შექმნის საბაბი გახდა. „ქართული ოცნების“ ლიდერები დღეს თავად აჟღერებენ კონსპირაციულ თეორიებს იმ საკითხების შესახებ, რაც „ხალხის ძალის“ ლიდერების „ქართული ოცნებიდან“ თითქოსდა დისტანცირების მიზეზი გახდა.

„ხალხის ძალა“ ფორმალურად შექმნილი მოძრაობაა, რომლის მთავარი მიზანი მმართველი გუნდის გაძლიერებაა. შესაბამისად, მისი გააქტიურება / პასიურ მდგომარეობაში გადაყვანა დამოკიდებულია დროის მოცემული მონაკვეთში მმართველი პარტიის საჭიროებებზე.